ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

სენაკის მუნიციპალიტეტი
საქართველო

სექტემბერი, 2020

მერის მიმართვა

ჩვენი საქმიანობის უმთავრესი გამოწვევა, სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური წინსვლა და ამ კუთხით, მნიშვნელოვანი კონკრეტული პროექტების განხორციელებაა. მუნიციპალიტეტში არსებული დიდი პოტენციალის მქონე ტურისტული, კულტურულ-ისტორიული ობიექტები და ძეგლები, ტრადიციული და ახლად განვითარებული მიმართულებები სოფლის მეურნეობაში, რეალურად გვაძლევს დიდი ეკონომიკური ძვრების განხორციელების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების მუნიციპალური გეგმის შემუშავების პროცესში, მუნიციპალიტეტის ყველა სექტორის წარმომადგენელი იქნა ჩართული და დოკუმენტში, მათი მოსაზრებების და წინადადებების შეჯერების შედეგად გამოკვეთილი პრიორიტეტები აისახა. ამდაგვარად შემუშავებულ გეგმაში, ის უმთავრესი საჭიროებებია გამოკვეთილი, რაც უმნიშვნელოვანესია სენაკის ყველა მაცხოვრებლისა და ბიზნესისთვის.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია ინვესტიციების მოზიდვა, ტურისტული პოტენციალის გაზრდა, აგრარული სექტორის განვითარება, ახალი შესაძლებლობების წარმოჩენა ადგილობრივ მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი იდეებისა და პროექტების ხორცშესხმისთვის.

მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისათვის.

ლევან კუპრეიშვილი
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

გეგმის ასლის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:
სახელი, გვარი: **მარინე კვარჭაია**
თანამდებობა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი
მისამართი: სენაკი, ჭავჭავაძის ქ. 39
ტელეფონი: +995599619444
ელ-ფოსტა: maka.kvartchaia@gmail.com
ვებგვერდი: www.senaki.gov.ge

1. მოკლე შეჯამება

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმას, რომელიც შექმნილია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში და შემუშავებულია ადგილობრივი ეკონომიკური პარტნიორობის მიერ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით.

სენაკის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს აგრარული სექტორის სხვადასხვა მიმართულებების და ტურიზმის სექტორის განვითარების შესაძლებლობების დიდი პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტს, სადაც ეკონომიკური საქმიანობების განხორციელებისთვის საკმაოდ დიდი შესაძლებლობებია. მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის მნიშვნელობას მოწმობს ის, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამები, რომლითაც მუნიციპალიტეტში დღემდე ისარგებლა 2000-ზე მეტმა ადამიანმა, განხორციელებულმა ინვესტიციამ შეადგინა 4 მილიონამდე ლარი. ამ დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სოფლის მეურნეობით და მეწარმეობით დაკავებული ადამიანების მატერიალური მდგომარეობა, თუმცა სოფლის მეურნეობა მაინც არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად, არა ბაზარზე, არამედ შინამეურნეობის დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. გამონაკლისი თხილის, დაფნის წარმოებაა, რომელიც თითქმის მთლიანად ექსპორტზეა გათვლილი. კენკროვანი და კაკლოვანი (თხილი) კულტურების გაშენების მზარდი ტენდენციიდან გამომდინარე აუცილებელია სამაცივრე და გადამამუშავებელი საწარმოების წამახალისებელი პროგრამების ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს სამშენებლო მასალების ძლიერი რესურსი და პოტენციალი, რომელიც ქმნის წინაპირობას და შესაძლებლობას განვითარდეს სამშენებლო მასალების წარმოება. მუნიციპალიტეტში არის ტრადიცია და რესურსი მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოებების განვითარების. ასევე, მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი განავითაროს სხვადასხვა სახის ტურიზმი, რის პერსპექტივასაც იძლევა მუნიციპალიტეტში არსებული მრავალფეროვანი კულტურულ-ისტორიული ძეგლები და ობიექტები.

ტურიზმის განვითარებისთვის და ტურისტული მუნიციპალიტეტის იმიჯის შესაქმნელად საჭიროა არსებული სუსტი მხარეების დაძლევა, რომელიც რეალურად აფერხებს სფეროს განვითარებას.

რეალური და უფრო მასშტაბური ეკონომიკური განვითარებისთვის საჭიროა იმ სუსტი მხარეების დაძლევა, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სუსტი ბრენდირება და პოზიციონირება, კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის სუსტი თანამშრომლობა, სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არასაკმარისი რაოდენობა, ფინანსური რესურსების შესახებ დაბალი ინფორმაციულობა, სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციებიდან ბიზნესის და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სამუშაო ადგილების სიმცირე და მიგრაციის მაღალი დონე, მოსახლეობის სამეწარმეო, ბიზნეს უნარების, აგრარული ცოდნის არასაკმარისი დონე, გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა და სხვა.

მოცემული დოკუმენტის შემუშავების დროს პარტნიორების მიერ გამოიკვეთა სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომლის მიხედვით სენაკის მუნიციპალიტეტი საუკეთესო ადგილია ბიზნესის განსახორციელებლად სამეგრელოში. ხედვის მისაღწევად, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობამ დაისახა შემდეგი მიზნები:

- სენაკის მუნიციპალიტეტის, როგორც ბიზნესის გამოცდილების ადგილის შესახებ ცნობადობის გაზრდა;
- ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ადგილობრივთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება.

მიზნების მისაღწევად განისაზღვრა ისეთი ქმედებების ერთობლიობა, როგორიცაა ყოველწლიური ადგილობრივი გამოფენა-ბაზრობებისა და ფესტივალების მოწყობა, სენაკში ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება, რეგიონალური ინოვაციების ჰაბის შექმნა, მეწარმეებისა და მეწარმეობის დაწყების მსურველებისათვის point of single contact-ის შექმნა, ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთათვის, მეწარმეებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება, ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა.

გეგმით განსაზღვრული ქმედებების გარკვეულ ნაწილს დააფინანსებს მუნიციპალიტეტი თავისი ბიუჯეტიდან, ნაწილი დაფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან ან დონორი ორგანიზაციებიდან.

2. სარჩევი

მერის მიმართვა
1. შემაჯამებელი შინაარსი
2. სარჩევი
3. შემოკლებები
4. გეგმის შესავალი
5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი
6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი
   6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი
   6.2 ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები
   6.3 ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისგან თავისუფალი ადმინისტრაცია
   6.4 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა
   6.5 მიწა და ინფრასტრუქტურა
   6.6 მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩო
   6.7 უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა
   6.8 გარე პოზიციონირება და მარკეტინგი
7. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზი
8. ხედვა და მიზნები (მათ შორის, მოსალოდნელი შედეგები)
9. სამოქმედო გეგმა
10. დაფინანსების სქემა
11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

დანართი:
დანართი „ა“ - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი.

3. ცხრილები და შემოკლებები

3.1 ცხრილები
   ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა
   ცხრილი 2. დაფინანსების სქემა
   ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმი

3.2 შემოკლებები

NAT - აუქციონის გარეშე ტენდერი
M4EG - „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“
სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
LEDP - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა
LED - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება
LEDO - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი
SWOT - ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხ

4. გეგმის შესავალი

სენაკის მუნიციპალიტეტი, ევროკავშირის ინიციატივას M4EG შეუერთდა 2020 წლის იანვარში, მუნიციპალიტეტის მერის მიერ M4EG კლუბის წევრობის ფორმის ხელმოწერის შემდეგ.

სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, კოლხეთის დაბლობზე. სენაკის მუნიციპალიტეტი 35 ათასი ადამიანი ცხოვრობს 1 ქალაქსა და 62 სოფელში. მოსახლეობით, მუნიციპალიტეტი მესამეა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტებს შორის და ჩამორჩება ზუგდიდის და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტებს. 1994 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 35%-ით არის შემცირებული. მოსახლეობის პროცენტული კლების მიხედვით, სენაკის მუნიციპალიტეტი მხარის მუნიციპალიტეტებს შორის მხოლოდ წალენჯიხის მუნიციპალიტეტს ჩამორჩება, სადაც იგივე პერიოდში მოსახლეობა 40%-ით შემცირდა. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემცირების ტენდენცია შენარჩუნებულია და მომავალშიც გაგრძელდება. შობადობის დაბალი მაჩვენებლის, ქვეყანასა და მხარეში მოსახლების შემცირების ფონზე, მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ზრდა მოსალოდნელი არ არის. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარება შემდგომ წლებში ამ ფაქტორის გავლენით უნდა იქნეს განხილული. სენაკის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის 53%-ზე მეტი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში - ქალაქ სენაკში ცხოვრობს.

ქალაქი სენაკი - ქალაქის სტატუს 1921 წლიდან ატარებს. ქ. სენაკი მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით, საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდუსტრიული ცენტრი იყო. ქალაქში განთავსებული იყო მსუბუქი და კვების მრეწველობის წარმოებები, სადაც სამუშაო ადგილების 70% იყო შექმნილი. დღეისათვის, ქალაქში არც ერთი ამ წარმოებიდან აღარ ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში არის ობიექტები, რომლებიც ეკონომიკური დანიშნულებით აღარ გამოიყენება. ქალაქში სამუშაო ადგილების შემცირებამ, გამოიწვია ქალაქიდან სოფლად და მუნიციპალიტეტიდან ქვეყნის დიდ ქალაქებსა და უცხოეთში. ამის შედეგია, ის რომ ურბანული მოსახლეობის წილი მუნიციპალიტეტში კლებით ხასიათდება. მიგრირებულ მოსახლეობაში ახალგაზრდების წილი 40%-ია. ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებამ მოითხოვა სამუშაო ძალის უნარების შეცვლა, რაც გართულებულია მხარეში პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების სიმცირის გამო. სენაკის მოსახლეობაში დაბალია მეწარმეობის სურვილი, ვიდრე მხარის სხვა მუნიციპალიტეტში.

თუმცა მათი სწორად დაგეგმილი რევიტალიზაციის განხორციელების შემთხვევაში განვითარების პოტენციალი გააჩნიათ. ეს არის ასევე ერთ-ერთი ნაბიჯი, რაც მუნიციპალიტეტში არსებულ მდგომარეობას მიგრაციის კუთხით გააუმჯობესებს და შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას.

სენაკზე გადის ფოთი-თბილისის და ზუგდიდი-თბილისი დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი. ქალაქი სენაკი ფოთის პორტიდან 37.5 კმ-ით არის დაშორებული. სენაკზე გადის მხარის მუნიციპალიტეტების ფოთის პორტთან დამაკავშირებელ მაგისტრალი. ესაა საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ავტომაგისტრალი [ს2], რომელიც იწყება სენაკში და მიემართება ჯერ დასავლეთით ფოთში, შემდეგ სამხრეთით შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ქობულეთის, ბათუმისა და სარფისაკენ - თურქეთის საზღვარისკენ. ასევე გადის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალი, რომელიც იწყება თბილისში და მიემართება დასავლეთით. თბილისიდან სენაკამდე ამ ავტომაგისტრალს ასევე ემთხვევა ევროპის ავტომაგისტრალი E60.

ამ არსებული გამოწვევების გადასალახად და შესაძლებლობების გამოსაყენებლად გადაწყვიტა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პარტნიორობამ სენაკის ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება.
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დოკუმენტის შემუშავების პროცესში შედგა თანამშრომლობა საჯარო, სამოქალაქო და კერძო სექტორებს შორის. აღნიშნულმა თანამშრომლობამ შექმნა ის პლატფორმა, სადაც დაინტერესებული მხარეები მომავალშიც ერთად განიხილავენ მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, დასაქმებაზე და კერძო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს.
დოკუმენტი თანხვედრაშია შემდეგ დოკუმენტებთან: სენაკის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023), სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021). სენაკის მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმისგან განსხვავებით, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზეა ორიენტირებული.
გეგმით გათვალისწინებული პროექტების და აქტივობებისთვის საჭირო 2 602 994 ლარის (662 505 ევრო) 11% დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ და ეს დაფინანსება გათვალისწინებული იქნება 2021-2022 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. მაღალი დონის ბიუჯეტიდან გეგმის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხები შეთანხმებულია შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რაც მოცემულია M4EG-ის მეთოდოლოგიაში და რაც გულისხმობს კერძო, საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობას.
მერის ბრძანებით შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობაში მონაწილეობა ეთხოვა კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებს. პარტნიორობა შედგა 9 ადამიანისგან: 7 კაცი და 2 ქალი. წევრებს შორის საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები უმცირესობაში არიან. პარტნიორობაში შემავალი წევრები შეირჩნენ სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებით მაღალი დაინტერესებითა და მასზე მაღალი გავლენის მიხედვით.
სამუშაო ჯგუფმა გეგმაზე მუშაობისას გამართა 2 ფიზიკური და 4 ონლაინ შეხვედრა შემდეგი სექტორისა და ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან: კერძო, საჯარო, სამოქალაქო სექტორების წარმომადგენლებთან.
ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო შეხვედრებმა გადაინაცვლა ონლაინ პლატფორმაზე, სადაც შეიქმნა ონლაინ ჯგუფი და აქტიურად ხდებოდა გეგმის შემუშავებასთან ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორიცაა სოფლის მეურნეობის, ბიზნესსაქმიანობის, ტურიზმის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და საჭიროებების გამოკვეთა, ამ სექტორების განვითარების აუცილებლობა და მხარდაჭერა. ონლაინ ჯგუფში მუშაობა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ ონლაინ რჟიმში მუშაობა არ მოითხოვდა შეხვედრების ორგანიზებას, სამუშაო პროცესი იყო უფრო მოქნილი და ინტერაქტიული.
სამუშაო ჯგუფმა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობასთან შეათანხმა შემდეგი საკითხები: ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობა და SWOT ანალიზი, ხედვა და მიზნები, სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი. პარტნიორობა

გადაწყვეტილებას ღებულობდა ხმების უმრავლესობით. დასრულებული გეგმა წარდგენილ იქნა პარტნიორობის წინაშე დასამტკიცებლად.
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში „ა“.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

6.1 ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი: სენაკის მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს განსაზღვრავს და შესაბამისად, მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყაროა აგრარული სექტორი - სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, გადამამუშავებელი მრეწველობის, ტურიზმის, მომსახურების, როგორიცაა მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრები, ესთეტიკურ ჰიგიენური, კვებისა და განთავსების ობიექტები, საავტომობილო ტექნიკის მომსახურების ცენტრები, სამშენებლო კომპანიები, ავეჯის მწარმოებელი საშუალო და მცირე საწარმოები, ვაჭრობის სფეროები. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში. მუნიციპალიტეტში განთავსებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-2 ქვეითი ბრიგადა, რომელიც წარმოადგენს დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პლატფორმას.
სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებებია: მემცენარეობა და მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის სტრუქტურაში მემცენარეობა წარმოდგენილია 65%-ით, ხოლო მეცხოველეობა 35%-ით.
სოფლის მეურნეობაში შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილია დასაქმებული. მათი უმრავლესობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელდა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც მუნიციპალიტეტში დღემდე ისარგებლა 2000-ზე მეტმა ადამიანმა. განხორციელებულმა ინვესტიციამ შეადგინა 4 მილიონამდე ლარი. ამ დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სოფლის მეურნეობით და მეწარმეობით დაკავებული ადამიანების მატერიალური მდგომარეობა, თუმცა სოფლის მეურნეობა მაინც არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად, არა ბაზარზე, არამედ შინამეურნეობის დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. გამონაკლისია თხილის წარმოება, რომელიც თითქმის მთლიანად ექსპორტზეა გათვლილი.
აგრარული სექტორიდან მეთხილეობა არის ძირითადი ქვედარგი, რომელზედაც მოდის აგრარულ სექტორში წარმოებული საერთო პროდუქციის ღირებულების 25%-ზე მეტი.
დღეის მდგომარეობით, სენაკის მუნიციპალიტეტში თხილის კულტურა გაშენებულია 2500 ჰა მეტ ფართობზე, რომლის პოტენციური მოსავლიანობა შეადაგენს 5000-5500 ტ პროდუქციას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში განვითარებულია აღნიშნული პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობაც, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა ცალკეული პერიოდების მიხედვით შეადგენს 1800-2500 ადამიანს.
სენაკის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი თხილისა და დაფნის გადამამუშავებელი საწარმოები ძირითადად მუშაობენ ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე, რომლის ხვედრითი წილი მიღებულ და გადამუშავებულ საერთო რაოდენობაში შეადგენს 60-65%-ს.
სენაკის მუნიციპალიტეტში 2019 წლამდე ფუნქციონირებდა 5 თხილის გადამამუშავებელი საწარმო, ხოლო ბოლო 2 წლის განმავლობაში აღნიშნული საწარმოების რიცხვმა მიაღწია

10-ს. აღნიშნული საწარმოების ზრდა ასევე განაპირობა ბოლო წლებში ფაროსანას წინააღმდეგ გატარებულმა ეფექტურმა ღონისძიებებმა. მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებისა და შენახვის მიმართულებით ადგილობრივი მეწარმეების ინტერესი გაიზარდა. შედეგად, მუნიციპალიტეტში USAID საგრანტო პროგრამით დაფინანსებულია ორი სამაცივრე მეურნეობა.

სენაკის მუნიციპალიტეტისთვის წამყვან ეკონომიკურ სფეროს წლიური ბრუნვის და მოგების მიხედვით წარმოადგენს მარცვლეული კულტურების წარმოება და ამ სექტორში რამდენიმე წელიწადია განსაკუთრებული ზრდა შეინიშნება. მუნიციპალიტეტის დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა დიდი უმრავლესობა 60% ამ სფეროზე მოდის.

სენაკის მუნიციპალიტეტში მარცვლეული კულტურის წარმოება აგრარული სექტორის განმასხვავებელი მიმართულებაა სხვა მუნიციპალიტეტთან შედარებით, რაც გამოიხატება იმით, რომ საერთო სახნავი ფართობის (10800 ჰა) 85-90% ყოველწლიურად დაკავებულია ერთწლიანი მარცვლეული და პარკოსანი კულტურით. ზუსტად ეს მაჩვენებელი გამოხატავს ჩვენი მუნიციპალიტეტის უნიკალურობას მარცვლეული კულტურების წარმოების მხრივ სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში. ყოველწლიურად იზრდება თანამედროვე ტექნოლოგიებით მარცვლეული კულტურების მიღების პროცესი. დღეის მდგომარეობით, საშუალო შეწონილმა საჰექტარო მოსავლიანობამ სიმინდის კულტურის ქვეშ მიაღწია 5.5-5.7 ტონა 1 ჰა-ზე.

პანდემიის პირობებში გამოიკვეთა ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურება აგრარულ სექტორში, რაც გამოიხატა იმაში, რომ გასულ წელთან შედარებით ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით სენაკის მუნიციპალიტეტში დამუშავებულია 1200 ჰა-ზე მეტი სახნავი ფართობი. მაღალია მოსახლეობის მიმართვიანობა ეკონომიკის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან მიწის დარეგისტრირებასა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით აღების მიმართულებით.

სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით ჩვენს მუნიციპალიტეტში გაზრდილია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მიმართულების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს კენკროვანი და კაკლოვანი (თხილი) კულტურების გაშენების სახელმწიფო პროგრამა და ბოლო 2-3 წელია მზარდი ტენდენციით ხასიათდება ამ კულტურების მოშენება, რომლის მეშვეობითაც დღეის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტში გაშენებულია და გაშენების სტადიაზეა 70ჰა-ზე მეტი კენკროვანი კულტურების ფართობი. ეს მიმართულება განვითარების საწყის ეტაპზეა და რეალური პერსპექტივა აქვს მუნიციპალიტეტში.

2020 წელს კენკროვანი კულტურების სახელმწიფო პროგრამის ქვე კომპონენტის ფარგლებში მონაწილეობის მიმღებთა რაოდენობა გაზრდილია 3-ჯერ, მაშინ როდესაც მეზობელ მუნიციპალიტეტებში ეს ტენდენცია შენარჩუნებულია ან იგივე დონეზეა ან სულ რამოდენიმე %-ითაა გაზრდილი.

კენკროვანი ფართობების ზრდის ტენდენციიდან გამომდინარე აუცილებელია სამაცივრე და გადამამუშავებელი საწარმოების წამახალისებელი პროგრამების ამოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს შემდეგი სამშნებლო მასალების ძლიერი რესურსი და პოტენციალი, როგორიცაა: სააგურე თიხა, კირი, ხრეში, ქვიშა, კირქვა. აქ არსებული ბუნებრივი რესურსი ქმნის წინაპირობას და შესაძლებლობას განვითარდეს აგურისა და კრამიტის წარმოება. აღსანიშნავია, რომ ხელმისაწვდომია სამშენებლო აგურის წარმოებისათვის საუკეთესო ხარისხის თიხა (რომლის მარაგი წინასწარი მონაცემებით შეადგენს 30 წელს). ასევე, სოფელ ეკის ტერიტორიაზე არის შენობა-ნაგებობების მოსაპირკეთებლად გამოსაყენებელი მაღალი ხარისხის საამშენებლო ქვა.

სენაკის მუნიციპალიტეტი მდიდარია მიწისქვეშა წყლებით. თერმული მინერალური წყაროები გვხვდება მენჯში, ლეძაძამეში, ზანაში, ნოქალაქევში, ფოცხოსა და ახალსოფელში. ამ წყლების ბაზაზე გაშენებულია სათბურები და პერსპექტივაა იმისა, რომ ეს წყლები გამოყენებული იქნას არა მარტო თერმული თვალსაზრისით, არამედ ბალნეოლოგიური კუთხითაც.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში განვითარდეს ბალნეოლოგიურ-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, რისი ტრადიცია და რესურსი აქ არსებობს.

კურორტი მენჯი განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მისი წამყვანი მიმართულება იყო საყოველთაო სამკურნალო თვისებების მქონე გოგირდ-წყალბადის და ქლორ-ნატრიუმიანი მინერალური წყალი +24 გრადუსი ტემპერატურით, რომელიც ეფექტური იყო სხვადასხვა დაავადებების ბალნეოთერაპიისათვის.

მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 25 ობიექტია, რომელთაგან 3 ეროვნული მნიშვნელობისაა. მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი განავითაროს სხვადასხვა სახის ტურიზმი: საცხენოსნო, საფეხმავლო, ეკოტურიზმი, სამონადირეო, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, აგროტურიზმი, პილიგრიმული, პალეო ტურიზმი, არქეოლოგიური, ბალნეოლოგიური, საგანმანათლებლო ტურიზმი და სხვა.

კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ობიექტებს შორისაა ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც რეგიონში წამყვან ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბების საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. თითქმის 20 ჰექტარ ფართობზე გაშენებული ციხე ქალაქი ამიერკავკასიის სივრცეში უანალოგო მაშტაბების ნაქალაქარია. მიმდინარეობს მისი სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომელიც 2021 წლისთვის დასრულდება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფუნქციონირება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოტენციალია ტურიზმის განვითარების მიმართულებით. სრული რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, 2020 წლის შემოდგომიდან, თეატრი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს. თეატრის შენობა ქვეყნის მასშტაბით გამორჩეულია თავისი არქიტექტურული, კულტურული და ისტორიული ღირებულებებით.

ტურიზმის განვითარების არასისტემური მიდგომა საჭიროებს ერთიან სისტემაში მოქცევას. ტურიზმის, როგორც ბიზნესსაქმიანობის არცოდნას მივყავართ იქამდე, რომ მუნიციპალიტეტში ტურისტულ სექტორში არსებული ობიექტები ნაკლებადაა დატვირთული ტურისტებით და შესაბამისად, შემოსავლების დაბალი მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში აგროტურიზმის, ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული სფეროს კიდევ უფრო გასავითარებლად და ტურისტული მუნიციპალიტეტის იმიჯის შესანარჩუნებლად საჭიროა არსებული სუსტი მხარეების დაძლევა, რომელიც რეალურად აფერხებს სფეროს განვითარებას.

6.2. ადგილობრივი თანამშრომლობა და ქსელური კავშირები: მუნიციპალიტეტში ვითარდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სხვადასხვა ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

სენაკის მუნიციპალიტეტში წარმატებით მუშაობს თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, რომელშიაც გაერთიანებულია სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 200-ზე მეტი ფერმერი, ასევე, აქტიური საქმიანობა წამოიწყო ჩაის მწარმოებელთა ასოციაციამ, რომელიც ამ ეტაპზე მუშაობენ სარეაბილიტაციო პლანტაციების ინვენტარიზაციის საკითხებზე. მუნიციპალიტეტში აქტიურ საქმიანობას ეწევა დასავლეთ საქართველოს

მეფუტკრეობის ალიანსი, რომელშიც გაერთიანებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები 15 საშუალო და მსხვილი მეფუტკრე. საჭიროა გამარტივდეს ჩაის კულტურის ქვეშ დაკავებული ფართობების გადაცემის შესაძლებლობა საკუთრების ან იჯარის უფლებით ცალკეულ ფერმერებსა და ასოციაციის წევრებზე.

ვინაიდან თხილის კულტურა წარმოადგენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ძირითად შემოსავალს, გასული 2-3 წლის განმავლობაში მოხდა აზიური ფაროსანას ფაქტორიდან გამომდინარე აღნიშნული კულტურის პოპულარიზაციის შესუსტება. ამ დარგის ეკონომიკურად აქტიურ დარგად შენარჩუნებისა და გაძლიერების მიმართულებით მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე, მუნიციპალიტეტის მმართველობითი ორგანოებიდან. ბოლო 2-3 წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო მთელი რიგი მასშტაბური ღონისძიებები გატარდა, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიამ სპეციალისტების მიმაგრებით მოახდინა აღნიშნული ღონისძიებების გატარების ეფექტური ორგანიზება. გარდა ამისა, მერია აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ სამსახურებთან და მისი ინიციატივით ხდებოდა სამეცნიერო კვლევითი ცენტრიდან სპეციალისტების მოწვევა და ფერმერებთან მობილური ექსტენციის განხორციელება.

აღსანიშნავია მიმდინარე პროექტი, რომლის ფარგლებში სენაკის მუნიციპალიტეტის ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საჯარო სკოლაში სოფლის მეურნეობის განვითარების ასოციაციის მიერ ყალიბდება აგროკლუბი. აღნიშნული პროექტის მიხედვით, რესურსცენტრმა და სკოლამ გამოყო ფართი, სადაც მოეწყობა სადემონსტრაციო ნაკვეთი. მერია უზრუნველყოფს სოფლის მოსახლეობის და აგროკლუბის წევრ მოსწავლეთა ტრანსპორტირებას სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სადემონსტრაციო საქმიანობების გასაცნობად. მსგავსი პროექტი ხელს შეუწყობს ბავშვებში ადრეული ასაკიდანვე აგრო მიმართულების პოპულარიზაციას.

მუნიციპალიტეტში საჯარო, ბიზნეს და საგანმანათლებლო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციისთვის რაიმე პლატფორმის ჩამოყალიბებისთვის მზადყოფნა არსებობს. მუნიციპალიტეტში არსებულმა პროფესიულმა განათლების კოლეჯმა, სათემო განათლების ცენტრმა მერიასთან თანამშრომლობით უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდების იმ პროფესიული კურსებით გადამზადება, რომელიც ადგილობრივ ბაზარზეა მოთხოვნადი. სისტემაში მოქცევა და პლატფორმის შექმნა სექტორებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს.

6.3. ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია: მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა. ოქტომბრიდან დაინერგება აღნიშნული სისტემა, რის შემდეგაც გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის წვდომა ყველა სამთავრობო თუ სხვა საჯარო დაწესებულებასთან.

მერიაში ფუნქციონირებს ერთეული, სადაც ბიზნესისა და მოქალაქეების მიერ ელ-ფოსტით, ფოსტით თუ ხელზე შეტანილი განცხადება „ერთი ფანჯრის პრინციპის“ საფუძველზე რეგისტრირდება და გაიცემა ინფორმაცია და პასუხები.

მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი არსებულ ვადაში გასცემს საჯარო ინფორმაციას ბიზნესსა და მოქალაქეებზე. მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდის ოპერირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ნაწილში მუნიციპალიტეტი შედის საქართველოს მუნიციპალიტეტების პირველ ათეულში და ხორციელდება დამატებითი ღონისძიებები საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით. მერიაში, ასევე არის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად აშუქებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბიზნესისა და მეწარმეებისათვის

განხორციელებულ აქტივობებს. მუნიციპალიტეტს უახლოეს პერიოდში ექნება ადგილობრივი ტურიზმისა და ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერი ვებ-გვერდი.
მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები არის ელექტრონული და განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია თავისი სატენდერო წინადადების წარდგენა. სატენდერო კომისიის საქმიანობა გამჭვირვალეა და მათი ყველა გადაწყვეტილება აიტვირთება სააგენტოს ვებ-გვერდზე. 2018 წლიდან მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ცხადდება NAT ტენდერები, რაც უზრუნველყოფს შესყიდვის მონაწილეთა შორის ჯანსაღ კონკურენციას, შესყიდვის მონაწილეთა მიმართ არადისკრიმინაციულ და თანასწორ მიდგომას.
რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გაცემას ან პრივატიზებას, იგი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის #7 დადგენილების საფუძველზე ხორციელდება საჯარო აუქციონის მეშვეობით. საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გასაცემი ქონების მონაცემები თავსდება ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე, ასევე ქვეყნდება ინფორმაცია ადგილობრივ მედიის საშუალებებში. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
საკრებულოში მორიგი და რიგგარეშე სხდომებიც არის საჯარო და ყველა მსურველს შეუძლია დასწრება რეგლამენტის გათვალისწინებით. მუნიციპალიტეტში მოქმედებს მერიის ოფიციალური პერიოდული გაზეთი, რომელიც მერიის მიერ დაარსებულ იურიდიულ პირს წარმოადგენს და აქტიურად აშუქებს მერიის და საკრებულოს მუშაობას. ასევე, არსებობს დამოუკიდებელი მედია საშუალებები, ვისთანაც ვთანამშრომლობთ შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე რეგიონის ფარგლებში. მათი არსებობა გარკვეულწილად ხელს უწყობს ადმინისტრაციის საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას.
6.4. ფინანსების ხელმისაწვდომობა: ბიზნეს სექტორის გასავითარებლად საჭირო ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა არსებითი პრობლემაა სენაკის მუნიციპალიტეტში, ისე როგორც მთლიანად საქართველოში. არ არსებობს სტარტაპ და მცირე მეწარმეების ფინანსებზე წვდომის გასაუმჯობესებლი მუნიციპალური პროგრამები. ფინანსური რესურსის მოძიება ძირითადად შესაძლებელია საქართველოში ლიცენზირებულ და მოქმედ კომერციულ ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში, რომლებიც გასცემენ 2 ათას (610 ევრო) და 500 ათას ლარამდე (150 000 ევრო) ოდენობის სესხებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში. თუმცა სესხის უზრუნველყოფა რეალურ პრობლემას წარმოადგენს მცირე ბიზნესისთვის და განსაკუთრებით სტარტაპებისთვის. სოფლის მეურნეობის მიმართულებით სახელმწიფო პროგრამას შეღავათიანი აგროკრედიტის კომპონენტში დაემატა საბრუნავ საშუალებებზე წვდომის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ერთწლიანი კულტურების ქვეშ მხოლოდ მიწის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით აბსოლიტურად უპროცენტო სესხს.
მუნიციპალიტეტზე ვრცელდება მიკრო და მცირე ბიზნესის და სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამები და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული ფინანსური რესურსით მხარდაჭერის პროგრამები, თუმცა ადგილობრივი მცირე მეწარმეებისთვის აღნიშნული რესურსი სრულად ვერ არის ათვისებული პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე არასათანადო ხელმისაწვდომობის და რიგ შემთხვევებში სათანადო უნარების და ცოდნის უქონლობის გამო.
6.5. მიწა და ინფრასტრუქტურა: სენაკის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს 22278 ჰა-ს, გამოუყენებელი მიწის ფართობია - 10894 ჰა. სახელწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი შეადგენს - 13262 ჰა, კერძო

საკუთრებაში არსებული - 9011 ჰა-ს. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი სულ შეადგენს - 29490 ჰა-ს, მათ შორის სახელმწიფო საკუთრებაშია - 20328 ჰა, მუნიციპალურ საკუთრებაში - 151 ჰა. მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებულია - 2708 ობიექტი, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო 444 ობიექტი, საერთო ფართობი: 9280.85 ჰა. შენობა-ნაგებობის გაშენების ფართობი: 275913.4 კვ.მ. ბიზნესის მხრიდან იზრდება მოთხოვნა მუნიციპალიტეტში არსებულ შენობა-ნაგებობებზე და მიწაზე. ამ ეტაპზე საოფისედ იჯარით გაცემულია სულ 10 ობიექტი, როგორც სასყიდლიანი იჯარით, ასევე უზუფრუქტის წესით, თუმცა მოთხოვნა მიკრო და მცირე ბიზნესის კომპანიების მხრიდან საოფისე ფართებზე გაცილებით დიდია. არსებობს კერძო საკუთრებაში არსებული გასაქირავებელი ფართებიც, თუმცა არახელსაყრელი და მაღალი ფასის გამო მცირე მეწარმეები ძირითადად ვერ ახერხებენ აღნიშნული ფართების დაქირავებას. მუნიციპალიტეტი განიხილავს კერძო სექტორის ინტერესებზე მორგებული ბიზნეს ინკუბატორის შექმნის იდეას, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნული იდეის განსახორციელებლად საჭირო რესურსი ვერ იქნა მოძიებული.

6.6. მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოები: სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რეგულაციებიდან, რომელიც ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე გავლენას ახდენს, შეგვიძლია გამოვყოთ: გარე ვაჭრობის წესის და მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა; შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოსაკრებელი; ზოგადად მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები.

ნებართვის გაცემის ყველა სტადიაზე ადმინისტრაციული აქტის გაცემა ხდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 27 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, გარემოს დაცვის სააგენტო, კომუნალური ქსელების და ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეები და სხვ.) ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება, მაგრამ არაუმეტეს 3 თვემდე.

მიუხედავად იმისა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში დანერგილია მომსახურების ,,ერთი ფანჯრის პრინციპი", რომელიც აადვილებს მოქალაქეების და ბიზნესის წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში მაინც მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურის გავლისას უწევთ ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და პროცესი ხშირად დროში იწელება. სენაკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განსაზღვრული რეგულაციებიდან, რომელიც ბიზნეს სექტორის საქმიანობაზე გავლენას ახდენს, შეგვიძლია გამოვყოთ: გარე ვაჭრობის წესის და მოსაკრებლის ტარიფის განსაზღვრა; შენობა-ნაგებობათა განთავსება/მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოსაკრებელი; ზოგადად მუნიციპალურ დონეზე რეგულირდება ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღება-გაუქმებისა და ადმინისტრირების საკითხები.

ნებართვის გაცემის ყველა სტადიაზე ადმინისტრაციული აქტის გაცემა ხდება საქართველოს მთავრობის 2009 წლის 27 მარტის N57 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა პროექტის შეთანხმება უნდა მოხდეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან (საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, გარემოს დაცვის სააგენტო, კომუნალური ქსელების და ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეები და სხვ.).

ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება, მაგრამ არაუმეტეს 3 თვემდე.
მიუხედავად იმისა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში დანერგილია მომსახურების ,,ერთი ფანჯრის პრინციპი", რომელიც აადვილებს მოქალაქეების და ბიზნესის წვდომას მუნიციპალურ სერვისებზე, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები რიგ შემთხვევებში მაინც მიიჩნევენ, რომ განსაკუთრებით მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურის გავლისას უწევთ ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა და პროცესი ხშირად დროში იწელება.
6.7. უნარები და ადამიანური კაპიტალი: სენაკის მუნიციპალიტეტში ძირითადად სოფლის მეურნეობაში, მომსახურების და ვაჭრობის სფეროებში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობა 80%-ს შეადგენს. სენაკის მუნიციპალიტეტში მთლიანი მოსახლეობის 52% სამუშაო ძალას წარმოადგენს, აქედან უმუშევარია 6.8 %, ხოლო აქტიური მოსახლეობის ყველაზე დიდ წილს - 75 %-ს თვითდასაქმებულები წარმოადგენენ, რომელთა შემოსავალიც არასტაბილურია ძირითადად სეზონურობის გამო. თვითდასაქმებულთა შემოსავლების დაბალი მაჩვენებელი უპირველესად განპირობებულია მათი კვალიფიკაციის დაბალი დონით და საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების არ არსებობით. ამისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედმა პროფესიული მიმართულების საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და ცენტრებმა დაიწყონ კადრების მომზადების და გადამზადების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სახელობო პროგრამების განხორციელება. მუნიციპალიტეტში საჯარო, ბიზნეს და საგანმანათლებლო სექტორებს შორის თანამშრომლობისა და კომუნიკაციისთვის რაიმე პლატფორმის ჩამოყალიბებისთვის მზადყოფნა არსებობს. მუნიციპალიტეტში არსებულმა პროფესიულმა განათლების კოლეჯმა, სათემო განათლების ცენტრმა მერიასთან თანამშრომლობით უნდა გაითვალისწინონ ახალგაზრდების იმ პროფესიული კურსებით გადამზადება, რომელიც ადგილობრივ ბაზარზეა მოთხოვნადი. სისტემაში მოქცევა და პლატფორმის შექმნა სექტორებს შორის ეფექტურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს.
6.8. გარე პოზიციონირება და მარკეტინგი: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივ გამოკითხულთა უმრავლესობა სენაკს მიიჩნევს - სოფლის მეურნეობის და ტურისტული პოტენციალის და მიმზიდველობის ცენტრად. ერთ-ერთ პოზიტიურ ფაქტორად შესაძლებელია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ სენაკის მუნიციციპალიტეტის გეოგრაფიული განლაგება ხელს უწყობს გარკვეული ბიზნეს მიმართულებების განვითარებას, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონში ლოჯისტიკურ უზრუნველყოფას. სენაკის მუნიციპალიტეტი ქვეყნის სატრანსპორტო კორიდორია, რაც შესაძლებლობას აძლევს ბიზნეს ლოჯისტიკისა და სატრანსპორტო კუთხით მოახდინოს გაფართოება, რის მაგალითს წარმოადგენს ის, რომ თბილისი-ლესელიძის ტრასის მონაკვეთზე აქტიურად მიმდინარეობს ბიზნესის მიერ სამრეწველო ზონის მოწყობა. იმისათვის, რომ სენაკი მყარად და მკაფიოდ იყოს წარმოდგენილი, უნდა დაიწყოს მისი გაბრენდების პროცესი, საჭიროა მუდმივად ხდებოდეს მუნიციპალიტეტის ახალი შესაძლებლობის ანალიზი. ასევე, სენაკის პოპულარიზაციასა და მისი მიმზიდველობაზე ზრუნვაც მუდმივი პროცესი უნდა იყოს რათა მუნიციპალიტეტი სწორად იქნას პოზიციონირებული იმ ბაზარზე, რომელიც მისი შემდგომი განვითარებისთვის წარმოადგენს ინტერესის სფეროს.

7. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
- მუნიციპალიტეტის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; - საერთაშორისო მნიშვნელობის გზების და სარკინიგზო კვანძის არსებობა; - სიახლოვე ქ.ფოთის პორტთან და ქ. ქუთაისის აეროპორტთან; - მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოყვანა და წარმოება, აგროწარმოების განვითარების მაღალი მაჩვენებელი; - ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნება; - მნიშვნელოვანი რესურსული პოტენციალის არსებობა - სხვადასხვა სახის აუთვისებელი წიაღისეულის მნიშვნელოვანი მარაგები, თერმული და ბალნეოლოგიური წყლები; - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსებობა; - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომსახურეობის საშუალებების არსებობა.	- სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების არასაკმარისი რაოდენობა; - ხილის და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა; - სტარტაპ და მცირე მეწარმეების ხელშესაწყობად მუნიციპალური პროგრამების არარსებობა; - სახელმწიფო თუ დონორი ორგანიზაციებიდან ბიზნესის და მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა; - მოსახლეობის სამეწარმეო, ბიზნეს უნარების, აგრარული ცოდნის არასაკმარისი დონე; - სამუშაო ადგილების სიმცირე და მიგრაციის მაღალი დონე; - კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს შორის სუსტი თანამშრომლობა; - თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი სიხშირე და შესაბამისი ცოდნის არქონა; - სენაკის მუნიციპალიტეტის სუსტი ბრენდირება და პოზიციონირება; - ტურისტული ინფრასტრუქტურის, შესაბამის მომსახურებისა და კადრების არადამაკმაყოფილებელი დონე; - არასაკმარისი ფინანსური რესურსი.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
- სოფლის მეურნეობის განვითარების, (კერძოდ, თხილის, მარცვლოვანი და კენკროვანი კულტურების) და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობი მეტი სახელმწიფო პროგრამა; - ადგილობრივი ბიზნესის, მეწარმეობის, სტარტაპების და მათი პროდუქციის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამები; - რეგიონის და ქვეყნის ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროექტები; - სახელმწიფო პროფესიული სწავლების პროგრამებში გაზრდის და დაფინანსების მიღების შესაძლებლობა; - სახელმწიფოს მიერ რეგიონის ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან, ობიექტებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; - სამედიცინო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა; - მიტოვებული შენობა-ნაგებობების, ტერიტორიების რევიტალიზაციის სახელმწიფო პროგრამების არსებობა.	- ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეები, სტიქიური მოვლენები; - საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი; - პანდემიები; - მიგრაცია.

SWOT ანალიზიდან გამომდინარე ჩანს, რომ მუნიციპალიტეტი დღეს ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. თუმცა, ამავდროულად, არსებობს შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებითაც ადგილობრივი ხელისუფლება შეძლებს მოკლე დროში გაუმჯობესოს ბიზნეს გარემო და განავითაროს ადგილობრივი ეკონომიკა.

8. ხედვა და მიზნები

ხედვა

სენაკის მუნიციპალიტეტი - საუკეთესო ადგილი ბიზნესის განსახორციელებლად სამეგრელოში

მიზნები

ხედვის მისაღწევად, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობამ დაისახა შემდეგი მიზნები:

- სენაკის მუნიციპალიტეტის, როგორც ბიზნესის განხორციელების ადგილის შესახებ ცნობადობის გაზრდა
- ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა
- ადგილობრივთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება

მიზნების მიღწევის შედეგად მუნიციპალიტეტში გაიზრდება:

- მუნიციპალიტეტის ცნობადობა;
- ადგილობრივი მეწარმეების შემოსავლები - 30%-ით;
- მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა - 20%-ით;
- გადასახადის გადამხდელი ბიზნესების რაოდენობა - 20%-ით;
- სამუშაო ადგილების რაოდენობა - 5%-ით;
- სამუშაოს შენარჩუნებისა და დასაქმების შესაძლებლობა;

9. სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს სენაკის ადგილობრივი ხელისუფლება სახელმწიფო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად 2021 წლის იანვრიდან 2022 წლის დეკემბრამდე.

ცხრილი 1. სამოქმედო გეგმა

თემატური ბლოკები	ძირითადი მიზნები	ქმედებები/ პროექტის იდეები	ხანგრძლივობა (დაწყება/ დამთავება)	მონაწილე პარტნიორები	სავარაუდო ღირებულება (ეროვნულ ვალუტაში & ევროს ეკვივალენტი	მყისიერი შედეგი (პროდუქტი) ინდიკატორები და მიზნები	საბოლოო შედეგი/ ინდიკატორები და მიზნები
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1. სენაკის მუნიციპალიტეტის, როგორც ბიზნესის განხორციელების ადგილის შესახებ ცნობადობის გაზრდა	1.1. ყოველწლიური ადგილობრივი გამოფენა-ბაზრობებისა და ფესტივალების მოწყობა	01.2021 - 12.2022	მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი მეწარმეები, კულტურის სამინისტრო	330 000 ლარი 83 990 ევრო	ჩატარებული12 ღონისძიება	მუნიციპალიტეტის, როგორც კულტურული და ტურისტული ადგილის ცნობადობა გაზრდილია 25%-ით
		1.2 სენაკში ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	02.2021 - 12.2022	მუნიციპალიტეტი	30 000 ლარი 7 635 ევრო	ვებსაიტი მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ფუნქციონირებს; 1 საიმიჯო რგოლი სენაკის ტურისტული და საინვესტიციო მიმზიდველობის წარმოსაჩენად	30%-ით გაზრდილია ადგილობრივი მეწარმეების შემოსავლები 20%-ით გაზრდილია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა

						მომზადებულია და გავრცელებულია; სენაკის ტურისტული და საინვესტიციო შესაძლებლობების ბროშურა დაბეჭდილია და გავრცელებულია	
მიწა და ინფრასტრუქტურა	2. ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის შექმნა	2.1. რეგიონალური ინოვაციების ჰაბის შექმნა	01.2021 - 12.2022	მუნიციპალიტეტი სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“	1 897 994 ლარი 483 073 ევრო	რეგიონალური ინოვაციების ჰაბი ფუნქციონირებს	მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი ახალგაზრდა მეწარმეთა გაზრდილი რაოდენობა
		2.2. მეწარმეებისა და მეწარმეობის დაწყების მსურველებისათვის „point of single contact"-ის შექმნა	03.2021 - 11.2022	მუნიციპალიტეტი	15 000 ლარი 3 817 ევრო	point of single contact“ შექმნილია; PSC-ის მომსახურებით ისარგებლა 100 ბენეფიციარმა	ინფორმაციის ზრდა
უნარების და ადამიანური კაპიტალის განვითარება წვდომა ფინანსებზე	3. ადგილობრივთა უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება	3.1. ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებულთა და დასაქმები მსურველთათვის, მეწარმეებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება	01.2021 - 12.2022	მუნიციპალიტეტი პროფესიული კოლეჯი სათემო განათლების ცენტრი	30 000 ლარი 7 635 ევრო	ტრენინგი ჩაუტარდა 150 ბენეფიციარს	გაზრდილია სამუშაოს შენარჩუნებისა და დასაქმების შესაძლებლობა; 20%-ით გაზრდილია გადასახადის გადამხდელი ბიზნესების რაოდენობა

		3.2. სტარტაპ იდეებისა და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა	01.2021 - 12.2022	მუნიციპალიტეტი სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ა(ა)იპ „სოფლად განვითარების სააგენტო“	300 000 ლარი 76 355 ევრო	დაფინანსებულია მეწარმეობის დაწყების მსურველი 10 პირი; დაფინანსებულია 10 მოქმედი საწარმო	5%-ით გაზრდილია სამუშაო ადგილების რაოდენობა;

10. დაფინანსების სქემა

სენაკის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმის აქტივობები დაფინანსდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ (11%), ხოლო დანარჩენი მაღალი დონის ბიუჯეტისა და დონორების მიერ. დაფინანსებაში წყვეტა არ არის.

ცხრილი 2. დაფინანსების სქემა

ქმედებები	სავარაუდო ღირებულება	დაფინანსების წყარო				დანაკლისი დაფინანსებაში	შენიშვნები
		ადგილობრივი ბიუჯეტი	მაღალი დონის ბიუჯეტი	ბიზნესი	დონორები		
1.1. ყოველწლიური ადგილობრივი გამოფენა-ბაზრობებისა და ფესტივალების მოწყობა	330 000 ლარი 83 990 ევრო	160 000 ლარი 40 816 ევრო	100 000 ლარი 25 451 ევრო	70 000ლარი 17 857 ევრო			
1.2. სენაკში ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	30 000 ლარი 7 635 ევრო	30 000 ლარი 7 635 ევრო					
2.1. რეგიონალური ინოვაციების ჰაბის შექმნა	1 897 994 ლარი 483 073 ევრო				1 897 994 ლარი 483 073 ევრო		
2.2. მეწარმეებისა და მეწარმეობის დაწყების მსურველებისათვის „point of single contact"-ის შექმნა	15 000 ლარი 3 817 ევრო	15 000 ლარი 3 817 ევრო					
3.1. ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებულთა და დასაქმების	30 000 ლარი 7 635 ევრო	5 000 ლარი 1 277 ევრო		10 000ლარი 2 551 ევრო	15 000 ლარი 3 826 ევრო		

მსურველთათვის, მეწარმეებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება							
3.2. სტარტაპ იდეებისა და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა	300 000 ლარი 76 355 ევრო				300 000 ლარი 76 355 ევრო		
ჯამი	2 602 994 ლარი 662 505 ევრო	280 000 ლარი 71 268 ევრო	100 000 ლარი 25 451 ევრო		2 222 994 ლარი 565 820 ევრო		

11. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სამოქმედო გეგმა 4 საანგარიშო პერიოდს მოიცავს. აქტივობების განხორციელების დაწყებასთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს პარტნიორობასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მონიტორინგის კომიტეტის შექმნას, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს სამოქმედო გეგმის შესრულებას და მოამზადებს შუალედურ ანგარიშებს.

ცხრილი 3. მონიტორინგის ინდიკატორები და მექანიზმები

ქმედება	დაწყება–დასრულება	მოსალოდნელი შედეგები 1-6 თვე	მოსალოდნელი შედეგები 7-12 თვე	მოსალოდნელი შედეგები 13-18 თვე	მოსალოდნელი შედეგები 19-24 თვე
1.1. ყოველწლიური ადგილობრივი გამოფენა-ბაზრობებისა და ფესტივალების მოწყობა	01.2021 12.2022	დადგენილია არტ ფესტივალების ჩატარების თარიღი, განსაზღვრულია ფესტივალში მონაწილეთა ვინაობა	ჩატარებულია 5 ღონისძიება	მონაწილეობა მიღებულია 2 გამოფენა/ბაზრობაში	ჩატარებულია 5 ღონისძიება
1.2. სენაკში ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება	02.2021 12.2022	შემუშავებულია ვებ საიტის კონტენტი	შემუშავებულია საინფორმაციო მასალის, ვიდეო რგოლის კონტენტი	ფუნქციონირებს ვებსაიტი მუნიციპალიტეტის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების მიმზიდველობის	გავრცელებულია სოციულურ მედიაში კლიპი

				წარმოსაჩენად, მომზადებულია საიმიჯო ვიდეო რგოლი,დაბეჭდილია ბროშურები	
2.1. რეგიონალური ინოვაციების ჰაბის შექმნა	01.2021 12.2021	საპროექტო სამუშაოები, მოსამზადებელი სამუშაოები მიწის, შენობის	ჩატარებულია შესაბამისი სარემონტო სამუშაოები	რეგიონალური ინოვაციების ჰაბი ფუნქციონირებს	რეგიონალური ინოვაციების ჰაბით ისარგებლა 200 ადამიანმა
2.2. მეწარმეებისა და მეწარმეობის დაწყების მსურველებისათვის „point of single contact"-ის შექმნა	03.2021 11.2022	განსაზღვრული კონტენტი	დაწყებულია PSC -ის შექმნა ინფორმაცია გავრცელდა შექმნის სამუშაო პროცესზე	Point of single contact შექმნილია, PSC მომსახურებით ისარგებლა 200 ბენეფიციარმა	PSC მომსახურებით ისარგებლა 200 ბენეფიციარმა
3.1. ადგილობრივ საწარმოებში დასაქმებულთა და დასაქმები მსურველთათვის, მეწარმეებისთვის სასწავლო კურსების ორგანიზება	01.2021 12.2022	შერჩეულია 3 კურსი, შექმნილია პროგრამა, განსაზღვრულია კურსებზე მონაწელეების რაოდენობა	ტრენინგი ჩუტარდა 50 ბენეფიციარს	ტრენინგი ჩაუტარდა 50 ბენეფიციარს	ტრენინგი ჩაუტარდა 50 ბენეფიციარს
3.2. სტარტაპ იდეებისა და არსებული საწარმოების გაფართოების ხელშეწყობა	01.2021 12.2022	მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია საკონსულტაციო საბჭოს მიერ	კონსულტაციები გაწეული აქვს 50 მსურველებს	დაფინანსებულია მეწარმეობის დაწყების მსურველი 5 პირი; დაფინანსებულია 10 მოქმედი საწარმო	

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია იმ ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რაც მოცემულია M4EG-ის მეთოდოლოგიაში და რაც გულისხმობს კერძო, საჯარო და სამოქალაქო პარტნიორობას.
მერის ბრძანებით შეიქმნა 4 კაციანი სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავდა კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორებს, კერძოდ:

1. მარინე კვარჭაია - ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის ოფიცერი (LEDO),
2. რამაზ კუპრეიშვილი - მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი,
3. ნონა ქადარია - არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი და
4. გიორგი ხარგელია - სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი.

მერის გადაწყვეტილებით ასევე შეიქმნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობა, რომლის შემადგენლობაში შევიდა 9 ადამიანი, 7 კაცი და 2 ქალი - კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები:

1. ბატონი ლევან კუპრეიშვილი - სენაკის მუნიციპალიტეტის მერი;
2. ბატონი გრიგოლ ბაღათურია - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;
3. ქალბატონი ნანა ზარანდია - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი,
4. ქალბატონი ჯულიეტა ჩოჩია - ეკონომიკური სამსახურის უფროსი,
5. ბატონი ნოდარ ხარჩილავა - ინდივიდუალური მეწარმე;
6. ბატონი სერგო ლაშქარავა - შპს „კედა“, დირექტორი;
7. ბატონი გოგა ადამია - შპს „ვაგო“, დირექტორი;
8. ბატონი გიორგი გაბედავა - შპს „ნოჩიოლა ჯორჯია“, დირექტორი;
9. ბატონი დათო ადამია - შპს „დაგი“, დირექტორი.

სამუშაო ჯგუფი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პარტნიორობასთან. სამუშაო ჯგუფმა პარტნიორობასთან შეათანხმა შემდეგი საკითხები:

- ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობა და SWOT ანალიზი
- ხედვა და მიზნები
- ორწლიანი სამოქმედო გეგმა
- ბიუჯეტი

დასრულებული გეგმა წარდგენილ იქნა პარტნიორობის წინაშე დასამტკიცებლად.
პარტნიორობა გადაწყვეტილებას ღებულობდა ხმების უმრავლესობით.
გეგმის შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა ონლაინ და პირისპირ შეხვედრები შემდეგ ჯგუფებთან და პირებთან:

- ფერმერები
- სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები
- მცირე მეწარმეები
- კომერციული უძრავი ქონების მფლობელები
- რეგიონის ხელისუფლება
- რეგიონის განვითარებაზე პასუხისმგებელი საჯარო სტრუქტურები
- შემოქმედები ინდუსტრიის წარმომადგენლები

ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო შეხვედრებმა ძირითადად გადაინაცვლა ონლაინ პლატფორმაზე. სამუშაო ჯგუფმა გეგმაზე მუშაობისას გამართა 2 ფიზიკური და 4 ონლაინ შეხვედრა კერძო, საჯარო, სამოქალაქო სექტორების და ფოკუს ჯგუფების წარმომადგენლებთან, სადაც აქტიურად ხდებოდა გეგმის მიმდინარეობის პროცესში შემდეგი საკითხების განხილვა:

- სოფლის მეურნეობის,
- ბიზნეს საქმიანობის,
- ტურიზმის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და საჭიროებების გამოკვეთა,
- პრიორიტეტული სექტორების განვითარების მხარდაჭერა.

გეგმა, საბოლოო სახის მიცემის შემდეგ ხელმოწერილი იქნება მერის მიერ.
გეგმის ხელმოწერის შემდეგ, სხვადასხვა სექტორის მონაწილეების შემდეგ შეიქმნება გეგმის განხორციელების მონიტორინგის ჯგუფი.